

ადმინისტრაციულ ორგანოებზე დელეგირებული უფლებამოსილების
სასამართლო კონტროლი

ნატალია ბარათაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის

მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ერემაძე, პროფესორი საჯარო სამართლის
მიმართულებით

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნატალია ბარათაშვილი

06.20.2022

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში განხილულია ადმინისტრაციულ ორგანოებზე/სააგენტოებზე, როგორც საჯარო მმართველობითი ღონისძიების განმახორციელებელ სუბიექტებზე უფლებამოსილების დელეგირების ზოგადი წესი და პირობები, აღნიშნულის ხარვეზები და მათი აღმოფხვრის გზები, პოსტ-საბჭოთა სივრცის მაგალითზე. ნაშრომის ფარგლებში, ასევე ყურადღება გამახვილებულია დელეგირებული უფლებამოსილების შედეგად პასუხისმგებლობის გადაცემა/გადანაწილებაზე. ადმინისტრაციული ორგანოს/სააგენტოს აქტიური როლის წარმოჩენა დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, მისი, როგორც საჯარო მმართველობითი ღონისძიებების განმახორციელებლის პასუხისმგებლობის როლსა და ფარგლებს ზრდის, რაც დელეგირებულ უფლებამოსილებასთან დაკავშირებული ხარვეზების გამოვლენა/აღმოფხვრის გზაზე, ადმინისტრაციულ ორგანოს/სააგენტოს აძლევს შესაძლებლობას და აკისრებს პასუხისმგებლობას. წინამდებარე ნაშრომის მიზანს, ერთი მხრივ, წარმოადგენს ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკურ-სამართლებრივი როლისა და პასუხისმგებლობის წარმოჩენა და გადააზრება ადმინისტრაციულ ორგანოებზე/სააგენტოებზე უფლებამოსილების დელეგირების პროცესში, ხოლო მეორე მხრივ, ადმინისტრაციულ ორგანოების, როგორც უშუალო დელეგირების ამსრულებლების როლისა და ფუნქციის წარმოჩენა, დელეგირების შედეგად გადაცემული უფლებამოსილების ჯეროვანი აღსრულებისა და მისთვის ქმედითი ბერკეტის მინიჭების გზაზე. სულ ბოლოს ნაშრომში განხილულია სასამართლოს, როგორც დამოუკიდებელი და ნეიტრალური არბიტრის როლს ადმინისტრაციულ ორგანოებზე დელეგირებული უფლებამოსილების კონტროლის, პასუხისმგებლობის ორმხრივი გათავისების ე.წ. „ვერტიკალის პრობლემის“ აღმოფხვრის გზაზე. ყოველივე ზემოხსენებულის გააზრება, შესაძლო ხარვეზულობის გამოვლენა, „ვერტიკალის პრობლემის“, როგორც პოსტ-საბჭოთა სივრცისთვის დამახასიათებელი საჯარო პოლიტიკისა და ადმინისტრირების ძირითადი პრობლემის განხილვის მიზანია, გავაძლიეროთ ადმინისტრაციული ორგანოების/სააგენტოების როლი საჯარო

მმართველობის ეფექტურ განხორციელებაში. ცენტრალური ხელისუფლების მიერ ადმინისტრაციულ ორგანოებზე/სააგენტოებზე დელეგირებული უფლებამოსილების კონსტიტუციურ დირექტივებში მოქცევა და მისი სამართლებრივ სახელმწიფოს პრინციპთან ჰარმონიზაცია, რაც არა მხოლოდ ეფექტური საჯარო მმართველობის განხორციელების საწინდარია, არამედ პირდაპირ და უშუალოდ დაკავშირებულია ადამიანის ძირითადი უფლებების, როგორც წარუვალი ადამიანური ღირებულებების დაცვასა და თავისუფალ განვითარებასთან.

საკვანძო სიტყვები: ადმინისტრაციული ორგანო; სააგენტო; საჯარო მმართველობა; დელეგირებული უფლებამოსილება; დელეგირება; ვერტიკალის დომინაცია; კონსტიტუციური დირექტივები; ადამიანის უფლებები; ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; სასამართლო კონტროლი.

Abstract

The present paper discusses the general rules and conditions for delegating authority to administrative bodies / agencies as entities implementing public administration measures, the shortcomings mentioned above and the ways to eliminate them, on the example of the post-Soviet space. The paper also focuses on the transfer / redistribution of responsibilities as a result of delegated authority. Demonstrating the active role of the administrative body / agency within the delegated authority increases its role and scope of responsibility as the executor of public administration measures, which enables and imposes the responsibility on the administrative body / agency to identify / eliminate deficiencies related to the delegated authority. The purpose of this paper is, on the one hand, to present and understand the political-legal role and responsibility of the central government in the process of delegating authority to administrative bodies / agencies, and on the other hand, to present the role and function of administrative bodies as direct delegates. On the way to giving him an effective leverage. Finally, the paper discusses the role of the court as an independent and neutral arbiter in the control of the powers delegated to the administrative bodies, the so-called reciprocal seizure of responsibilities. On the way to eliminating the "problem of vertical dominance". Understanding all of the above, identifying possible shortcomings, and addressing the "vertical problem" as a major public policy and administration problem in the post-Soviet space, aims to strengthen the role of administrative bodies / agencies in the effective implementation of public administration. The centralization of the powers delegated to administrative bodies / agencies by the central government and the harmonization of its principle with the rule of law, which is not only a precondition for effective public administration, but also directly and straight on related to the protection of fundamental human rights as inviolable human values and free development.

Keywords: Administrative body; agency; public administration; delegated authority; delegation; vertical dominance; constitutional directives; human rights; normative administrative-legal act; judicial control.

ემღვნება დედას, რომელმაც მაშინ არ თქვა ჩემს მიზნებზე უარი, როდესაც მე ვაპირებდი მათზე უარის თქმას..

Let It be..

მადლობა ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ქეთი ერემამეს, პროფესიული გამოცდილების გაზიარებისთვის, კვალიფიციური რჩევებისთვის, ღირებული შენიშვნებისთვის, პიროვნული და პროფესიული მხარდაჭერისა და ნდობისთვის.